MES 1 23 0001704379

13/12/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, საბჭოს სხდომის თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების დირექტორთა ეროვნული სკოლის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, ზოგადი განათლების ხარისხის ექსპერტი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ - ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორი, საბჭოს წევრი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;

ნატო გაბოშვილი - „ახალი სკოლის მოდელის“ მხარდამჭერი პროგრამის მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმ ომადგენლები:

თეა ლილუაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
ცირა კეჟერაშვილი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
თამარ ფიფია- ზოგადი განათლების ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
თამარ ფიფია- ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
გვანცა ნინიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ნინო ცხოვრებაძე- ზოგადი განათლების ხარისხის უზურნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

3.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ- გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №20 საჯარო სკოლა
ლელა სუხიტაშვილი- დირექტორი
სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის №3 საჯარო სკოლა
ლელა კემულარია- დირექტორი
სსიპ- ქალაქ ფოთის №11 საჯარო სკოლა
სოფიო ჭაჭია- დირექტორი
სსიპ- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლა
მაკა დეკანოიძე- დირექტორი
სსიპ- დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა
ლალი იაკობაშვილი- დირექტორი
სსიპ- ქალაქ თბილისის №86 საჯარო სკოლა
ნანა ქაჯაია- დირექტორი
სსიპ- ქალაქ თბილისის №144 საჯარო სკოლა
მანანა ჩარგელიშვილი- დირექტორი
სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლა
რომან მარკოიძე- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ- ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლა
დავით კობერიძე- დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
სსიპ- აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლა
ინგა წიგნაძე- დირექტორი

4.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტ ები):

სსიპ- გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლა

ხათუნა ბარაბაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ნინო მიდელაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ნინო გოგორელიანი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მედიკო ჯიქია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა გოგალაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ქეთევან პარუნაშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ირინე ჯანაშია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლიანა კობესშვილ (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ალექსანდრე ჩახნაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაკა ნატროშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის N3 საჯარო სკოლა

ნანა ღაჭავა (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ნინო ჭიჭინაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
შორენა გაგნიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ბურჯანაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაკა გიორგბერიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თეა გაბისონია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ქეთევან ბორაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია ბრეგაძე (დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ- ქალაქ ფოთის №11 საჯარო სკოლა

ლიანა კობესაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ზვიად ბერიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ფიქრია მუმლაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკა სიმსივე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა წიკლაური (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ თავშავაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი ჩაჩუა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ ოძელაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ცინცაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მიხეილ გაფრინდაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლა

თეა ელერდაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ლელა ცარციძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ია ვარდოსანიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მზია მახაჭაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ლაცაბიძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ელენე ხუციშვილი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა ყანჩაშვილი (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარიამ ჯვარიძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ციცინო თორია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ვაშალომიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლა

მაია ბუაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ნათია ქოქუაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ნანა სონღულაშვილი (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნიკოლოზ გურგენიძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლამარა დარახველიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ოლიკო კილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
როლანდი ხოჯანაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მანანა შეროზია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია ბალხამიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ქალაქ თბილისის №86 საჯარო სკოლა

მიხეილ ტეფნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ციალა გაგნიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ნიკა უთალიშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სოფიკო მჭედლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარიკა ბოცვაძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინე კვარაცხელია (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
შაქრო ჟღენტი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
გიორგი კოპლატაძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ჭიჭინაძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

სსიპ- ქალაქ თბილისის №144 საჯარო სკოლა

ნინო ელბაქიძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
მარიამი ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ირმა ავალიანი (საბუნებისმეტყველომეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ლელა კაკაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო წერეთელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ წულუკიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სოფიო თავაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინელი ცერცვაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
საბა დარსაველიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია კურტანიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლა

ლენა გომართელი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
მარიამი ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ხატია კაჭარავა (საბუნებისმეტყველომეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ანი მეხუზლა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ინგა გოგალაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლეილა ხელისუფალი (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მეგი კაპანაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლალი აბულაძე (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო მახარაშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ- ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლა

მარინე ჯანაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
თინათინ ბედუკაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
მანანა ცუცქირიძე (საბუნებისმეტყველომეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
ნინო კაპანაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
სოფიო მგალობლიშვილი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა კალმახელიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ავთანდილ ცნობილაძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა ქერაშვილი (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინე ახალაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ეკატერინე კვირკველია (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

სსიპ- აკაკი წერეთლის სახელობის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლა

მარიამი ხეთაგაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე);
ტარიელ კალანდაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ია ვარდოსანიძე (საბუნებისმეტყველომეცნიერებათა საგნობრივი ექსპერტი, წევრი)
მაია მაძღარაშვილი (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია ქათამაძე (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ ძველაია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ელიზა კუკავა (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო ჯახველაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ხათუნა გერგაია (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მარინა ანესაშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ქეთევან ცირეკიძე (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. საბჭოს სხდომა 2023 წლის 29 ნოემბერს ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 16:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.
ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა.
სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20 მუხლის მე-7 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ- გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №20 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის №3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ- ქალაქ ფოთის №11 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ- საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. სსიპ- დედოფლისწყაროს N2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. სსიპ- ქალაქ თბილისის №86 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
7. სსიპ- ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

8. სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
9. სსიპ- ასპინძის მუნიციპალიტეიტს სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
10. სსიპ- აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.
დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და, შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. **სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის №20 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვრიკაშვილმა განაცხადა, რომ ის ვერ მიიღებდა აღნიშნული საკითხის განხილვასა და კენჭისყრაში მონაწილეობას, რადგან გახლდათ იმ რესურსცენტრის ხელმძღვანელი, რომლის ტერიტორიულ ორგანოსაც განეკუთვნებოდა სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის #20 საჯარო სკოლა.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 02 და 03 ოქტომბერს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. დაწყებითი საგანმანათლებლო პროგრამა განთავსებული იყო სხვა შენობაში, რომელიც მდებარეობდა ქალაქ თბილისში, მარი ბროსეს ქუჩა #8-ში, ხოლო საშუალო და საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამების სწავლება მიმდინარეობდა ქალაქ თბილისში, ჯამბულის ქუჩა #5-ში. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1500 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1500 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა განმარტა, რომ 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 3.4 შეფასდა „მეტწილად“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლა ახორციელებდა გერმანული ენის გაძლიერებულ პროგრამას, რის გამოც 2015 წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 140/ნ ბრძანებით მიენიჭებული ჰქონდა გერმანული ენის გაძლიერებული სკოლის სტატუსი. აღნიშნული

პროგრამა ხორციელდებოდა ორ ქვეყანას (საქართველო - გერმანია) შორის დადებული მემორანდუმის ფარგლებში. ასევე ექსპერტმა განმარტა, რომ სკოლაში აქტიურად მუშაობდა ეკო კლუბი, რომელიც დანიური ორგანიზაციის გარემოს დაცვის ფონდის „ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობა“ დაფინანსებით ახორციელებდა პროექტს- „გავუფრთხილდეთ გარემოს-ქაღალდის დამუშავება“. გარდა ამისა, სკოლა წარმატებით ახორციელებდა პროფესიული განათლების ორ პროგრამას მე-9 და მე-11 კლასებში, კერძოდ, ტანსაცმლის დიზაინი და კონსტრუირება, კომპიუტერული ტექნოლოგიები-საოფისე პროგრამები.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, კითხვით მიმართა ექსპერტს რატომ არ ჰქონდა სკოლას უსტატუსო მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ ვინაიდან უსტატუსო მასწავლებელს სკოლა ვერ დაასაქმებდა კონკურსის გარეშე, აღნიშნული ექსპერტთა ჯგუფის მხირდან აღქმული იყო სპეციალურ მომწესრიგებელ აქტად.
საბჭოს წევრი, მაკა მამფორია დაინტერესდა, გრძელდებოდა თუ არა პროფესიული განათლების მიმართულებით განხორციელებული ღონისძიებები.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ დაადასტურა, რომ პროფესიული განათლების ხელშეწყობისა და განვითარების მიმართულებით სკოლაში აქტიურად მიმდინარეობდა ღონისძიებები.
საბჭოს თავმდჯომარე, დავით მალაზონიამ გარკვეულ ხარვეზებს გაუსვა ხაზი ისტორიის სწავლების მიმართულებით. კერძოდ, სასწავლო რესურსად მითითებული იყო მხოლოდ სასკოლო სახელმძღვანელო, ასევე ჰქონდა შენიშვნები კომპლექსური დავალებების იდეასთან.
საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა, მედიკო ჯიქიამ განმარტა, რომ აღნიშნული მიმართულებით ექსპერტთა ჯგუფის მხრდან გაცემული იყო რჩევები.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1500 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - გურამ რამიშვილის სახელობის ქალაქ თბილისის N20 საჯარო სკოლას (ს/კ: 203853829) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და

მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1500 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ.თბილისი ჯამბულის ქუჩა #5 ;
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ.თბილისი ჯამბულის ქუჩა #5 ;
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ.თბილისი ჯამბულის ქუჩა #5 ;

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:
მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები - მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის წარმოდგენა.

2. სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის №3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად,

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნანა ღაჭავამ. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 26 და 27 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ფოთში, ვ. ზამბახიძის ქ. N3-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1000 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1000 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა, ნანა ღაჭავამ ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა არაფორმალურ განათლებას, შექმნილი იყო მრავალი კლუბი, რომელთაც მოპოვებული ჰქონდათ სხვადასხვა სახის ჯილდო.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან
საბჭოს წევრი, ეკატერინე კვირიკაშვილი დაინტერესდა, შენობის მდგრადობის საკითხით.
სკოლის დირექტორმა, ლელა კემულარიამ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით უკვე დაწყებული ჰქონდათ მუშაობა.
საბჭოს თავმჯდომარე დავით მალაზონია დაინტერესდა, რა ეტაპზე იყო სკოლის ტერიტორიაზე პანდუსების მოწყობის საკითხი.
სკოლის დირექტორმა, ლელა კემულარიამ განმარტა, რომ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან მიღებული წერილის თანახმად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქ. ფოთის N3 საჯარო სკოლა ჩასმული იყო რეაბილიტაციის პროექტში.
საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს, ფლობდნენ თუ არა ინფორმაციას იმ შენობის შესახებ, რომელშიც გაგრძელდებოდა სასწავლო პროცესი სკოლის რეაბილიტაციის პერიოდში.
სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა ორი კორპუსი და არ დასჭირდებოდა სხვა შენობაში გადასვლა.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქ. ფოთის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე- 11
წინააღმდეგი - 1
საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა მხარი არ დაუჭირა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის N3 საჯარო სკოლის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს, ვინაიდან დაწესებულებას არ ჰქონდა შენობა-ნაგებობისა და მდგრადობის შესახებ დასკვნა.

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის ქალაქ ფოთის N3 საჯარო სკოლას (ს/კ: 215085011) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ფოთი, ვ. ზამბახიძის ქ. N3
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ფოთი, ვ. ზამბახიძის ქ. N3
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ფოთი, ვ. ზამბახიძის ქ. N3

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ, შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნისა და სკოლის შიდა კიბეებზე პანდუსის მოწყობის დამადასტურებელი მტკიცებულების წარმოდგენა.

3. სსიპ - ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლიანა კობესაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ ფოთში, შავი ზღვის ქ. N6- ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 800 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 800 მოსწავლისთვის.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 1-ლი; მე-2; მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტები 3.4 (ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება) და 3.5 (მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა) შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნატროშვილმა კითხვით მიმართა სკოლას, რამდენად იყო სკოლის შენობა შემოღობილი და გამიჯნული საფრთხისშემცველი სივრცისგან.
სკოლის დირექტორმა, სოფიო ჭაჭიამ განმარტა, რომ სამანქანო გზისგან განსაცალკევებელი კაპიტალური ღობე სკოლას ჰქონდა, თუმცა სამეზობლოსთან საზიარო ღობე იყო, რომელსაც ასევე ჰქონდა კარი.
საბჭოს თავჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 800 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე- 12

წინააღმდეგი - 0

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა :

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ ფოთის N11 საჯარო სკოლას (ს/კ: 215108504) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 800 - ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი ფოთი, შავი ზღვის N6
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი ფოთი, შავი ზღვის N6
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი ფოთი, შავი ზღვის N6

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის, სკოლის სრული ტერიტორიის შემოღობვის, ასევე სკოლის ინფრასტრუქტურის ინკლუზიურობის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ საბჭოს სხდომა დატოვა 17:30 სთ-ზე. დებულების მე-17 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარის არ ყოფნის გამო, საბჭოს სხდომას წარუძღვა, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, თამარ მამსიკაშვილი

4. სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ თამარ მამსიკაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნეა. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, თეა ელერდაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 31 ივლისს და 01 აგვისტოს. სკოლა მდებარეობდა საჩხერის მუნიციპალიტეტში, სოფელ მერჯევში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 250 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტი 3.4 „მეტწილად“ შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, თეა ელერდაშვილმა აღნიშნა, რომ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად“, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექპერტმა თეა ელერდაშვილმა სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლა აქტიურად თანამშრომლობდა „MAC GEORGIA“- სთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სკოლის მოსწავლეებისთვის შესაძლებელი იყო ინგლისურის შესწავლა სრულიად უფასოდ, ასევე ეწყობოდა საზაფხულო ბანაკები. ექსპერტმა თეა ელარდაშვილმა აღნიშნა, რომ სკოლა წარმატებით თანამშრომლობდა რეგიონის სხვა სკოლებთან.
სხდომის თავმჯდომარე, თამარ მამსიკაშვილი დაინტერესდა სკოლის შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნით და სკოლის წარმომადგენელს მიმართა კითხვით, ხომ არ ჰქონდა სკოლას მოცემული დროისთვის აღნიშნული დოკუმენტი.
სკოლის დირექტორმა, მაკა დეკანოიძემ აღნიშნა, რომ სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები განხორციელდა 2019 წელს და სკოლას ჰქონდა მიღება- ჩაბარების აქტი.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით იყო თუ არა სკოლა დარეგისტრირებული ახალი მონაცემებით და ჰქონდა თუ არა განახლებული ამონაწერი. სკოლის დირექტორმა, მაკა დეკანოიძემ განმარტა, რომ სკოლას ჰქონდა განახლებული ამონაწერი და შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. მან ასევე განმარტა, რომ სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სკოლა მოცემული დროისთვის ელოდებოდა დასკვნას.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა, რომ სკოლის საიტზე განთავსებულ მისიასა და სკოლის მიერ დამტკიცებულ სტრატეგიულ განვითარების გეგმაში ინტეგრირებულ მისიას შორის იყო დიდი განსხვავება და სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, აღნიშნული განსხვავება რა მიზეზით იყო განპირობებული. სკოლის დირექტორმა, მაკა დეკანოიძემ

აღნიშნა, რომ საიტზე მოცემული იყო სკოლის მისიის ძველი ვერსია, ხოლო სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში წარმოდგენილი იყო სკოლის მისიის განახლებული ვარიანტი. დირექტორის განმარტებით, სკოლა უახლოეს მომავალში მოახდენდა აღნიშნული ხარვეზის გამოსწორებას.
სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშილმა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 250-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მერჯევის საჯარო სკოლას (ს/კ : 239404097) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 250- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი მერჯევი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი მერჯევი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	საჩხერის მუნიციპალიტეტი, სოფელი მერჯევი

საბჭომ 3.4 კომპონენტის შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაცია და რეკომენდაციის შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა -

ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის წარმოდგენა.

5. სსიპ- ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ, თამარ მამსიკაშვილმა დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ თამარ მამსიკაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მაია ბუაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 25 და 26 სექტემბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ დედოფლისწყაროში, 9 აპრილის ქ. 148-ში. ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლის შენობა- ნაგებობის საერთო ფართი წარმოადგენდა 2198,5 კვ. მ-ს. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 400 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს"; სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტმა აღნიშნა, რომ 3.1 და 3.4 კომპონენტები „მეტწილად" შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, მაია ბუაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად", ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, მაია ბუაძემ აღნიშნა, რომ სკოლა მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობდა არაფორმალურ განათლებას. სკოლაში ფუნქციონირებდა ჭადრაკისა და ფრენბურთის წრეები. სკოლის მოსწავლეები მეწარმეობისა და ეკო- კლუბების ფუნქციონირების ფარგლებში აქტიურად ახორციელებდნენ სხვადასხვა პროექტებს. ექსპერტის განცხადებით სკოლას მემორანდუმი ჰქონდა გაფორმებული ერთ-ერთ პროფესიულ სასწავლებელთან. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში სკოლის მე-7, მე-8 და მე-9 კლასის მოსწავლეებს ჰქონდათ შესაძლებლობა დაუფლებოდნენ კულინარიის, ელექტროობისა და თექის პროფესიებს.
საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ თამარ მამსიკაშვილმა მიმართა მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ დედოფლისწყაროს №2 საჯარო სკოლას (ს/კ : 228525441) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი დედოფლისწყარო, 9 აპრილის ქ. 148
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქალაქი დედოფლისწყარო, 9 აპრილის ქ. 148
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი დედოფლისწყარო, 9 აპრილის ქ. 148

საბჭომ 3.1 და 3.4 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ: პედაგოგების მიერ ნასამართლეობისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობისა; საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმისა; შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის წარმოდგენა.

დავით მალაზონია საბჭოს სხდომას შემოუერთდა 18:30 საათზე.
საბჭოს წევრმა, ეკატერინე კვირიკაშვილმა საბჭოს სხდომა დატოვა 18:32 საათზე

6. სსიპ- ქალაქ თბილისის №86 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N86 საჯარო სკოლაში საავტორიზაციო ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 12 და 13 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ქალაქ თბილისში, ბეღლეთის ქ. N12-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ქართულ ენაზე. სკოლას თვითშეფასების კითხვარში მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობად მოთხოვნილი ჰქონდა 1000 მოსწავლე.
ექსპერტმა განაცხადა, რომ სტანდარტი 1 (სკოლის ფილოსოფია), სტანდარტი 2 (სასკოლო კურიკულუმი), სტანდარტი 3 (სასწავლო რესურსის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა) და სტანდარტი 4 (მოსწავლეთა მხარდაჭერა) შეფასდა, როგორც ,,შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს". ექსპერტმა აღნიშნა, რომ კომპონენტები 3.4 და 3.5 „მეტწილად" შეესაბამებოდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ აღნიშნა, რომ თითოეულ ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა „მეტწილად", ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო რეკომენდაციები, რომელიც აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში. დასკვნა ასევე მოიცავდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევებს.
ექსპერტმა, მიხეილ ტეფნაძემ სკოლის საუკეთესო პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნა, რომ სკოლაში იყო მაღალი თანამშრომლობითი კულტურა. შეთანხმებულად და წარმატებით თანამშრომლობდნენ სხვადასხვა თაობის წარმომადგენელი პედაგოგები.
საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, ნატო გაბოშვილმა სკოლის დირექტორს მიმართა კითხვით, რა მიზეზით იყო განპირობებული ის ფაქტი, რომ შენობა არ იყო შესული ექსპლუატაციაში და რის საფუძველზე შეიძლებოდა სკოლას ჰქონოდა გარანტია იმის, რომ ერთი წლის შემდეგ სკოლას ექნებოდა შენობა- ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნა. სკოლის დირექტორმა, ნანა ქაჯაიამ აღნიშნა, რომ შენობამ მშენებლობის პერიოდში განიცადა გარკვეული ცვლილება. აღნიშნული ცვლილებების ასახვა არქიტექტორების მხრიდან მოხდა მერიაში. იქიდან გამომდინარე, რომ პროექტის ცვლილებების შეთანხმება საჭიროებდა გარკვეულ დროს, სკოლას მოცემული დროისთვის არ ჰქონდა აღნიშნული დოკუმენტი. სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხზე პასუხისმგებელი პირისგან მიღებული ინფორმაციით, პროცესები არ გაგრძელდებოდა ერთ წელიწადზე მეტ ხანს.
სხდომის თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის N86 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N86 საჯარო სკოლას (ს/კ : 206031685) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1000- ით.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქ. თბილისი, ბეღლეთის ქ. N12
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	ქ. თბილისი, ბეღლეთის ქ. N12
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქ. თბილისი, ბეღლეთის ქ. N12

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე. კერძოდ: შენობა-ნაგებობის მდგომარეობისა და შენობა - ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოტხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების, შენობა- ნაგებობის საჯარო რეესტრში რეგისტრირების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა.

7. სსიპ- ქალაქ თბილისის №144 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ნინო ელბაქიძემ. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 30 და 31 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა თბილისში, ორთაჭალის პირველი ჩიხი N5-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 1100 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 1100 მოსწავლისთვის.

ნინო ელბაქიძის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი,მეორე,მესამე და მეოთხე სტანდარტები შეფასდა როგორც შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტის 3.4. და 3.5. კომპონენტები შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სკოლაში იყო გამართული ინფრასტრუქტურა და მოსწავლეს სკოლაში ხვდებოდა კეთილგანწყობილი, მოტივირებული სასკოლო საზოგადოება; სკოლას გააჩნდა სამოქმედო გეგმა და ამ გეგმის შესაბამისად, თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მიზნით, ტარდებოდა სხვადასხვა პროექტი თუ შემოქმედებითი ღონისძიება, რაშიც სასკოლო საზოგადოებასთან ერთად თემიც აქტიურად იყო ჩართული. სკოლა ასევე ჩართული იყო სასწავლო და შემოქმედებით, მოსწავლეზე ორიენტირებულ პროექტებში; სკოლის სპორტულ გუნდებს ჰქონდათ წარმატებები მუნიციპალიტეტის და მასშტაბით გამართულ ღონისძიებებში;პროფესიული ორიენტაციის მიზნით მემორანდუმის საფუძველზე სკოლაში არსებობდა კულინარიის ოთახი, ჩამოყალიბებული იყო ეკოტურისტული კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი ,,ათინათი“, სკოლის ეზოში კი გაშენებული იყო ეკომეგობრული სკვერი.

ექსპერტმა ასევე პრეზენტაციის ფორმატით, გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა და აღნიშნა, რომ სპორტული დარბაზი საჭიროებდა რეაბილიტაციას.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ კითხვით მიმართა სკოლის წარმომადგენელს და სთხოვა დაეზუსტებინა რამ განაპირობა მათი მხრიდან მოსწავლეთა გაორმაგებული ზღვრული რაოდენობის მოთხოვნა.
სკოლის დირექტორმა, მანანა ჩარგეიშვილმა აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ მოლოდინი, ავტორიზაციის მინიჭების შემდგომ გაიზრდებოდა მოსწავლეთა კონტიგენტი, რის საშუალებასაც იძლეოდა სკოლის ინფრასტრუქტურა. ამ ფაქტს კი გარკვეულწილად განაპირობებდა ის რომ სკოლში ბოლო პერიოდში განხორციელდა მთელი რიგი სარეაბილიტაციო სამუშაოები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფს მეორე სტანდარტთან დაკავშირებით გაცემული ჰქონდა მნიშვნელოვანი რჩევები და სთხოვა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა, აპირებდა თუ არა მათ გათვალისწინებას და დაწყებული იყო თუ არა პროცესები სკოლის განვითარებისთვის.
სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ სკოლაში უკვე ჩატარდა ყველა კათედრის სხდომა რჩევებთან დაკავშირებით და ისინი გაითვალისწინებდნენ მათ.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ დავით მალაზონიამ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ქალაქ თბილისის №144 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 1000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ქალაქ თბილისის N144 საჯარო სკოლას (ს/კ: 204423472) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 1100-ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ქალაქი თბილისი, ორთაჭალის პირველი ჩიხი N5
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის	საბაზო	ქართული	ქალაქი თბილისი, ორთაჭალის

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			პირველი ჩიხი N5
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ქალაქი თბილისი, ორთაჭალის პირველი ჩიხი N5

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი და მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

საბჭომ 3.4 და 3.5 კომპონენტების შეფასების გათვალისწინებით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას განუსაზღვრა რეკომენდაციები და რეკომენდაციების შესრულების პროგრესის შესახებ ცენტრის ინფორმირების ვალდებულება 2024 წლის ნოემბრამდე, კერძოდ, შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნისა და ინკლუზიური გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

8. სსიპ- ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, ლენა გომართელმა. ექსპერტმა,განაცხადა რომ სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 6, 7 და 8 სექტებერს. სკოლა მდებარეობდა ადიგენის
მუნიციპალიტეტში, სოფელ ღორთუბანში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი და საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული

რაოდენობა შეადგენდა 60 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 60 მოსწავლისთვის.
ექსპერტ ლენა გომართელის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, ოთხივე სტანდარტი ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ მეორე, მესამე და მეოთხე ინდიკატორთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რჩევები. ხოლო, აღნიშნული აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.
ექსპერტმა გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ ექსპერტისგან ითხოვა დაზუსტება,რამდენი მოსწავლე ირიცხებოდა სკოლაში და რამდენი მასწავლებელი იყო დასაქმებული.

ექსპერტმა განაცხადა რომ სკოლაში ვიზიტის განმავლობაში ირიცხებოდა 23 მოსწავლე და დასაქმებული იყო 14 მასწავლებელი.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ აღნიშნა რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა შესწორებული ხელშეკრულებები, რომელიც გაფორმებული იყო სექტემბერში და წარმოადგენდა დროებით მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებას, რომელსაც არ ცნობს მოქმედი კანონმებლობა. საბჭოს წევრმა სკოლის წარმომადგენლისგან ითხოვა დაზუსტება რას წარმოადგენდა აღნიშნული ხელშეკრულებები და ვისთან გააფორმეს ისინი.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, რომან მარკოიძემ აღნიშნა რომ აღნიშნული პედაგოგები დასაქმებულნი იყვნენ როგორც მაძიებელი პედაგოგები, სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია და მის შევსებამდე დასაქმდნენ აღნიშნული პედაგოგები. სკოლის დირექტორის განცხადებით ვაკანსიებზე გამოხმაურება იყო დაბალი ვინაიდან სკოლა წარმოადგენდა მაღალმთიან რეგიონს.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, აღნიშნა რომ სკოლას სჭირდებოდა ხელშეკრულებების შესწორება და მათი მორგება მოქმედ კანონმდებლობასთან.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 60-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების

მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტების შესაბამისად, სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ღორთუბნის საჯარო სკოლას (ს/კ: 222728145) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 60- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღორთუბანი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	აადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ღორთუბანი

9. სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარინე ჯანაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 23 და 24 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა ასპინძაში, სოფელ ოშორაში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების

მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 200 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 200 მოსწავლისთვის.
მარინე ჯანაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, მესამე სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, კომპონენტი 3.4 კი შეფასებული იყო მეტწილი შესაბამისობით. რაც შეეხებოდა მეორე და მეოთხე სტანდარტს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეფასდა, როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“. კერძოდ, პირველი, მე-2, მე-3 და მე-4 სტანდარტები შეფასდა როგორც „შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“ მესამე სტანდარტის 3.4. კომპონენტი შეფასდა „მეტწილი“ შესაბამისობით
ექსპერტმა აღნიშნა, რომ 3.4.1.1. ინდიკატორთან დაკავშირებით, რომელიც შეფასდა მეტწილი შესაბამისობით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაცია. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაცია აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლას უცხოელ პედაგოგებთან მუშაობის დიდი გამოცდილება ჰქონდა. სკოლას რამდენჯერმე ჰყავდა „მშვიდობის კორპუსის“ პროექტის ფარგლებში მოხალისე მასწავლებელი, რაც ხელს უწყობდა მოსწავლეებს ინგლისური ენის უკეთ დაუფლებაში და კულტურული მრავალფეროვნებისადმი ზიარებაში. ბოლო წლებში ერთ-ერთი მოხალისე მასწავლებელი მოსვლისთანავე აქტიურად ჩაერთო სკოლისა და თემის ცხოვრებაში, რაშიც დახმარებას უწევდნენ პარტნიორი მასწავლებლები, სკოლის დირექცია და ყველა პედაგოგი. მან მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლების მიზნით მრავალი პროექტი, საკლუბო მუშაობა, გაზაფხულის ბანაკი და სხვადასხვა აქტივობა განახორციელა. პარტნიორ პედაგოგ ერთად მოიპოვა გრანტი 10 000 დოლარის ოდენობის, რაც მოხმარდა ოშორის საჯარო სკოლაში ინგლისური ენის კაბინეტის მოწყობას და მის აღჭურვას თანამედროვე ტექნიკით. სკოლის ეზოში მდებარე ძველი საშეშე გადაიქცა თანამედროვე, გარემონტებულ, ტექნიკით აღჭურვილ სივრცედ, რამაც მოსწავლეებში აამაღლა მოტივაცია, ხელი შეუწყო ინგლისური ენის უკეთ შესწავლას და სხვადასხვა აქტივობის განხორციელებას, როგორიცაა პროექტი: “ სამაგიდო თამაშებით ინგლისური ენის უკეთ შესწავლა“. ამ პროექტის ფარგლებში ინგლისური ენის კაბინეტისთვის შეძენილ იქნა ამერიკიდან უმაღლესი ხარისხის სამაგიდო სათამაშოები, სკოლის მოსწავლეთა ინტეგრაციის და ინგლისური ენის გაუმჯობესების მიზნით. ოშორის ინგლისური ენის კლუბი თანამშრომლობდა „ახალციხის ამერიკის კუთხესთან“ სადაც გაწევრიანებულები იყვნენ სხვადასხვა სკოლის ბავშვები და ოშორის სკოლის მოსწავლეები მათთან ერთად ინგლისურ ენაზე ქმნიდნენ მინი სპექტაკლებს ,პროექტებს. დამეგობრდნენ სოფელ აბასთუმნის საჯარო სკოლის მოსწავლეებთან, და ერთმანეთს გააცნეს საკუთარი სკოლის ისტორია. მშვიდობის კორპუსის და მოხალისე პედაგოგის თანადგომით ოშორის საჯარო სკოლაში განხორციელდა კიდევ ერთი პროექტი “წარმატებული ქალები“. პროექტის ფარგლებში პროექტის მონაწილე გოგონებმა ,მოინახულეს ადგილობრივი ისტორიული ადგილები, რეწვის სკოლა მუზეუმი სოფელ მუსხში, შეხვდნენ წარმატებულ ქალ ინდმეწარმეებს; პარალელურად აითვისეს გუგლის რუკაზე ადგილმდებარეობის დატანის ტექნიკა. ინგლისური ენის კაბინეტი დღესაც აქტიურად ფუნქციონირებდა და აქ ტარდებოდა, როგორც ინგლისური ენის გაკვეთილები, ასევე ხორციელდებოდა კლუბის აქტივობები. სკოლა

მიმდინარე წელსაც ელოდებოდა მოხალისე მასწავლებელს მშვიდობის კორპუსიდან და მასთან ერთად კიდევ არაერთ საინტერესო პროექტს გეგმავდნენ.
ექსპერტმა გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა და აღნიშნა, რომ სკოლა საჭიროებდა რეაბილიტაციას, თუმცა დაცული იყო ყველა სანიტარული ნორმა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრმა, მორის დანდურიშვილმა აღნიშნა რომ სკოლას წარმოდგენილი ჰქონდა დოკუმენტი მოსწავლის სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით და სთხოვა სკოლის წარმომადგენელს აეხსნა რა პროცედურები გაიარა სკოლამ, სანამ მოსწავლეს სტატუს შეუჩერებდა.
სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა, დავით კობერიძემ აღნიშნა, რომ მოსწავლე არ ცხადდებოდა სკოლაში, რის შედეგადაც მოხდა მისი სტატუსის შეჩერება. პროცესში ჩართული იყო როგორც კლასის ხელმღვანელი, ასევე მშობელი და სოციალური მუშაკი.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრისშედეგები:
მომხრე - 11
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორის საჯარო სკოლას (ს/კ: 223104281) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 200- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოშორა
2		საბაზო	ქართული	ასპინძის

	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			მუნიციპალიტეტი, სოფელი ოშორა
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	ასპინძის მუნიციპალიტეტი, სოფელი ოშორა

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის დეკემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

10. სსიპ- აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის №1 საჯარო სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.
საბჭოს თავჯდომარემ, დავით მალაზონიამ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინა ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტმა, მარიამ ხეთაგაშვილმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა 2023 წლის 02 და 03 ოქტომბერს. სკოლა მდებარეობდა სოფელი მეორე სვირი, პირველი ქუჩა N46-ში. სკოლა ახორციელებდა ზოგადი განათლების დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს, ქართულ ენაზე. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმის თანახმად, დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა შეადგენდა 300 მოსწავლეს. აქვე, ექსპერტმა განმარტა, რომ აღნიშნულ მოთხოვნას ეთანხმებოდა ექსპერტთა ჯგუფი და დაწესებულებას შეეძლო შესაბამისი საგანმანათლებლო მომსახურება გაეწია 300 მოსწავლისთვის.

მარიამ ხეთაგაშვილის განცხადებით, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განახორციელა დაწესებულებაში ვიზიტი და ჩაატარა ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან. დაწესებულების შეფასების პროცესში გამოიკვეთა ავტორიზაციის სტანდარტებთან შეუსაბამობები, თუმცა ექსპერტმა განმარტა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიციის სახით სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის წარმოდგენის შემდეგ შეიცვალა. კერძოდ, პირველი სტანდარტი შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“, თუმცა კომპონენტი 1.2 შეფასებული იყო „მეტწილი“ შესაბამისობით. მეორე, მესამე და მეოტხე სტანდარტები ასევე შეფასდა როგორც „ შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს“.

ექსპერტმა აღნიშნა, 1.2.1. ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ დაწესებულებისათვის გაცემული იყო რეკომენდაციები. ხოლო, აღნიშნული რეკომენდაციები აღწერილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში.

ექსპერტმა ასევე ისაუბრა სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე და აღნიშნა რომ სსიპ აკაკი წერეთლის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის ერთ-ერთ საუკეთესო პრაქტიკად ექსპერტთა ჯგუფმა მიიჩნია არაფორმალური განათლების მიმართულება. კერძოდ, წლებია სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა კლუბურ აქტივობებს. სკოლაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა კლუბები: კლუბი „მე DEBATE”, ისტორიის კლუბი „დიდგორი“, ქართული ენისა და ლიტერატურის კლუბი „მე მიყვარს ლიტერატურა“, მათემატიკის კლუბი „მე მიყვარს მათემატიკა“. დებატების კლუბი 2015 სასწავლო წლიდან თანამშრომლობს დებატებისა და განათლების ინსტიტუტთან, რომელიც ყოველწლიურად ორგანიზებას უწევდა რეგიონალურ და ეროვნულ ტურნირებს. სკოლის დებატების კლუბის მონაწილე მოსწავლეები ეუფლებოდნენ დებატების ტექნიკას და იღებდნენ მონაწილეობას ტურნირებში. ლიტერატურის კლუბის მონაწილე მოსწავლეებს ჰქონდათ წიგნის კითხვის ტრადიცია „ჩვენ გვიყვარს კითხვა“. მოსწავლეები წაკითხული წიგნის შესახებ აკეთებდნენ მოკლე პრეზენტაციას თანატოლებისთვის, რითაც კითხვის იტერესს უღვიძებდნენ მათ. ისტორიის კლუბის მონაწილე მოსწავლეები არა მარტო სკოლის სივრცეში ეცნობოდნენ საქართველოს ისტორიიდან მნიშვნელოვან ფაქტებს, არამედ კლუბის ხელმძღვანელთან ერთად აწყობდნენ გასვლით ღონისძიებებს ისტორიული ადგილების მოსანახულებლად.

ექსპერტმა გააზიარა სკოლის ინფრასტრუქტურის ფოტო-მასალა.

საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ აღნიშნა, რომ სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და სთხოვა სკოლის წარმომადგენელს დაეზუსტებინა რას მოიცავდა მათი თანამშრომლობა.

მან ასევე აღნიშნა, რომ მეორე სტანდარტი საჭიროებდა განვითარებას, ვინაიდან მოიცავდა გარკვეულ ხარვეზებს.

სკოლის დირექტორმა, ინგა წიგნაძემ აღნიშნა, რომ აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გულისხმობდა მოსწავლეების ვიზიტსა და ინფორმაციის გაცვლას პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები სკოლის წარმომადგენლებთან ან ექსპერტებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 300-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2, და მე-3 პუნქტებისა და 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, სსიპ - აკაკი წერეთლის სახელობის ზესტაფონის მუნიციპალიტეტის სოფელ მეორე სვირის N1 საჯარო სკოლას (ს/კ: 230078340) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 300- ით. დაწესებულებას მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები:

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	ქართული	სოფელი მეორე სვირი, პირველი ქუჩა N46
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო	ქართული	სოფელი მეორე სვირი, პირველი ქუჩა N46
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო	ქართული	სოფელი მეორე სვირი, პირველი ქუჩა N46

საბჭომ შუამდგომლობით მიმართა ცენტრს დაწესებულებაში მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებით:

მონიტორინგის დაწყების პერიოდი - 2025 წლის ნოემბრიდან;
მონიტორინგის განხორციელების ფორმა - ადგილზე ვიზიტი;
მონიტორინგის ფარგლები: პირველი და მე-2 (ზოგადი განათლების დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები) სტანდარტი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 20:00 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით





სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
მოადგილე/საბჭოს სხდომის თავმჯდომარე
მამსიკაშვილი თამარი



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა